ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ბიზნესის სკოლაში 2013–2014 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის მაგისტრატურის საფეხურზე მიღების გამოცხადების, სწავლის გაგრძელების მსურველთა რეგისტრაციის ვადების, გამოცდის თარიღისა და წარმოსადგენი დოკუმენტაციის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 6 ნოემბრის №235/ნ ბრძანებით დამტკიცებული ა(ა)იპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-17 მუხლის პირველი და მეორე პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 22 აპრილს №227 ბრძანებით დამტკიცებული ,,სამაგისტრო გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ" 29-ე მუხლის საფუძველზე, ბიზნესის სკოლის დეკანის მოვალეობის შემსრულებლის მიხეილ ბატიაშვილის 2013 წლის 14 მაისის №03-8944/13 და 2013 წლის 12 ივნისის №03-9837/13 სამსახურებრივი ბარათების, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის 2013 წლის 6 ივნისის №03-9668/13 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვბრძანებ

1. გამოცხადდეს მიღება 2013-2014 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლის მაგისტრატურის საფეხურზე ქვემოთჩამოთვლილ პროგრამებზე:

ა) ბიზნესის ადმინისტრირება (მენეჯმენტი; საბანკო და საფინანსო საქმე);ტესტის ტიპი – E;
ბ) Business Administration (Eng); ტესტის ტიპი –E;
გ) ტურიზმის მენეჯმენტი. ტესტის ტიპი –E;

2. 2013-2014 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლის მაგისტრატურის საფეხურზე სწავლის გაგრძელების მსურველმა მაგისტრანტობის კანდიდატებმა განაცხადი უნდა გააკეთონ 2013 წლის 1 აგვისტოდან 30 აგვისტოს ჩათვლით, ყოველდღე შაბათ–კვირის გარდა 10:00 საათიდან 18:00 საათამდე, (ქაქუცა ჩოლოყაშვილის გამზ. 3–5, ოთახი E406).

3. მაგისტრანტობის კანდიდატმა რეგისტრაციისათვის უნდა წარმოადგინოს:
ა) განაცხადი;
ბ) პირადობის მოწმობა და მისი ასლი;
გ) საერთო სამაგისტრო გამოცდის სერთიფიკატი, ასეთის არარსებობის შემთხვევაში- სამაგისტრო საგამოცდო პლასტიკური ბარათი და მისი ასლი;

დ) ორი ფოტოსურათი და ელ.ვერსია ელექტრონულ მატარებელზე(CD);
ე) უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის - დიპლომის სანოტარო წესით დამოწმებული ასლი, ან შესაბამისი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული ცნობა შესაბამისი ხარისხის მინიჭების შესახებ;
ვ) სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტი (მხოლოდ ვაჟებისთვის);

ზ) ესსე (ესსე წარმოდგენილ უნდა იქნას ელექტრონული სახით(pdf ვერსია) შემდეგ ელექტრონულ მისამართზე admission_business2013@iliauni.edu.ge 2013 წლის 1 აგვისტოდან 30 აგვისტოს ჩათვლით).

4. 2013-2014 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლაში ინგლისურენოვან სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველ რეგისტრაციაგავლილ მაგისტრანტობის კანდიდატებს გამოცდა ჩაუტარდეთ 2013 წლის 2 და 3 სექტემბერს (ქაქუცა ჩოლოყაშვილის 3–5, ოთახი E401).

5. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლას დაევალოს 2013 წლის 4 სექტემბერს გამოცდებგავლილ მაგისტრანტობის კანდიდატთა შეფასებები განათავსოს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

6. მაგისტრანტობის კანდიდატმა საპრეტენზიო განაცხადი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ჩატარებული გამოცდის შედეგების შესახებ უნდა წარადგინოს უნივერსიტეტში 2013 წლის 5 სექტემბრიდან 7 სექტემბრის ჩათვლით 10:00 საათიდან 18:00 საათამდე (ქაქუცა ჩოლოყაშვილის 3–5, ოთახი E403).

7. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლას დაევალოს მიაწოდოს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსების მიზნით 2013 წლის 7 სექტემბერს გამოცდებგავლილ მაგისტრანტობის კანდიდატთა შეფასებები და სამაგისტრო გამოცდების კოეფიციენტებით რანჟირების დოკუმენტი აპელაციის შედეგების გათვალისწინებით.

8. იმ მაგისტრანტობის კანდიდატებთან ხელშეკრულების გაფორმება, რომლებმაც წარმატებით გაიარეს ერთიანი სამაგისტრო და შიდასაუნივერსიტეტო გამოცდები და სამაგისტრო გამოცდების კოეფიციენტებით რანჟირების დოკუმენტის მიხედვით მოიპოვეს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამაგისტრო საფეხურზე სწავლის გაგრძელების უფლება, დაიწყება 2013 წლის 9 სექტემბრიდან და გაგრძელდება 18 სექტემბრის ჩათვლით (9-14 სექტემბერი ძირითადი სია, 16-18 სექტემბერი - დამატებითი სია), ყოველდღე შაბათ–კვირის გარდა 10:00 საათიდან 18:00 საათამდე, მის: ჩოლოყაშვილის გამზ 3/5, ოთახი E 412.

9. მაგისტრანტობის კანდიდატს ხელშეკრულების გასაფორმებლად წარმოდგენილი უნდა ქონდეს ამ ბრძანების მესამე პუნქტით დადგენილი ყველა დოკუმენტაცია და ამ ბრძანების მე-8 პუნქტით განსაზღვრულ ვადებში უნდა გააფორმოს უნივერსიტეტთან ხელშეკრულება.

10. ბიზნესის სკოლას დაევალოს მაგისტრანტობის კანდიდატებთან ხელშეკრულების გაფორმების უზრუნველყოფა მხოლოდ კოეფიციენტებით რანჟირების დოკუმენტისა და ამ ბრძანების მე-3 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაციის საფუძველზე.

11. ის მაგისტრანტობის კანდიდატები, რომლებიც ამ ბრძანების მე-8 პუნქტით დადგენილი ვადაში არ გამოცხადებიან უნივერსიტეტში და არ გაივლიან რეგისტრაციას, კარგავენ უნივერსიტეტში ჩარიცხვის უფლებას, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

12. ბიზნესის სკოლას დაევალოს უნივერსიტეტის რექტორს 2013 წლის 19 სექტემბრის ჩათვლით წარუდგინოს იმ მაგისტრანტობის კანდიდატთა სია, ვინც გააფორმა უნივერსიტეტთან ხელშეკრულება.

13. უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტს დაევალოს ამ ბრძანების გამოქვეყნება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

14. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს ამ ბრძანების დაინტერესებულ პირთათვის საჯარო წესით გაცნობა.

15. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს, მიაწოდოს ამ ბრძანების ასლები საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, იურიდიულ სამსახურს, ბიზნესის სკოლას.

რექტორი გიგი თევზაძე